ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. ხ.-ი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 058/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №...././

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2018 წლის 04 მაისს საჩივრით მომართა დ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ დ. ჩ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება და გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. ჩ.-ს იურიდიული დახმარების მიზნით მიმართა მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით და გააფორმა შესაბამისი რწმუნებულება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნა უნდა მომხდარიყო მოქალაქე ნ. კ.-სთან.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი თავიდან ყველაფერს დროულად და თანმიმდევრულად აკეთებდა. კერძოდ, ადვოკატმა დ. ჩ.-მ მოიყვანა ამზომველები მიწის ნაკვეთის ასაზომად, გამზადდა შესაბამისი აზომვითი ნახაზი. ადვოკატმა მიმართა სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რაზედაც საჩივრის ავტორს მოსთხოვა 160 (ას სამოცი) ლარი, შემდეგ აღმოჩდა რომ რეალურად ექსპერტიზის საფასური შეადგენდა 31 (ოცდათერთმეტ) ლარს. საჩივრის ავტორის განცხადებით, საერთო ჯამში

ადვოკატისათვის გადაცემული აქვს 1190 (ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი, ხოლო ამ ეტაპზე ადვოკატმა დაუბრუნა 300 (სამასი) ლარი, ის ადვოკატისაგან ითხოვს კიდევ 700 (შვიდასი) ლარის დაბრუნებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერ ინფორმაციას იგი იღებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკურად მიდიოდა ადვოკატთან. მის საქმეზე მიღებული შესაგებელი ადვოკატმა ჩააბარა 1 თვის შემდეგ.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატ დ. ჩ.-სა და მის მოწინააღმდეგე მხარეს - ნ. კ.-ს შორის შედგა ფარული გარიგება მის წინააღმდეგ, ვინაიდან ადვოკატმა საქმის საბუთები მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით სასამართლოში შეიტანა არასწორად. ამ გარემოებიდან გამომდინარე საჩივრის ავტორმა შეწყვიტა რწმუნებულება დ. ჩ.-სთან 22.02.2017 წელს, რასაც მოყვა თავის მხრივ ადვოკატის არაეთიკური ქცევები: ხმამაღალი საუბარი და გინება იმ პირის მისამართით, ვინც დ. ხ.-ს აძლევდა რჩევებს.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ჩ.-მ უთხრა მას, რომ იგი ვერ მოიგებდა საქმეს სასამართლოში, რომელი ადვოკატისთვისაც არ უნდა მიემართა. ადვოკატის ამ სიტყვევით დგინდება ის ფაქტი, რომ ადვოკატი დ. ჩ. გარიგებაშია ნ. კ.-სთან.

1.7 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 26 ივნისს საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ დ. ჩ., ისევე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარე, არის ოზურგეთიდან და სწორედ აქედან გამომდინარე აქვს ეჭვი, რომ ადვოკატი მოელაპარაკა მათ.

2. საჩივრის ავტორის მოწმე მ. ზ.:

2.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 26 ივნისს საჩივრის ავტორის შვილმა მ. ზ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი მათ ინფორმაციას აწვდიდა გვიან, სწორედ ამის გამო დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა.

2.2 მოწმის განმარტებით, როდესაც ისინი ადვოკატს ეუბნებოდნენ, რომ მათ ურჩიეს ამ საქმეზე შეიძლებოდა რაღაც კონკრეტულის გაკეთება, ადვოკატი იმ პირს, ვინც მათ რჩევა მისცა აგინებდა, დ. ხ.-ს - ქალბატონის თანდასწრებით.

2.3 მოწმის განცხადებით, ადვოკატმა მოამზადა სარჩელი, საჯარო რეესტრიდან ამოიღო დოკუმენტაცია, საქმის მომზადების სტადიაზე ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატი კონტაქტში შევიდა მათ მოწინააღმდეგე მხარესთან, მისცა მათ თავისი ნომერი. ადვოკატს ტელეფონის ნომრის მხარისათვის მიცემის ფაქტი მათთან არ შეუთანხმებია. საქმის გაჭიანურება დიდი ალბათობით გამოიწვია იმან, რომ ადვოკატი მოლაპარაკებაში შევიდა მათ პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა დ. ჩ.-მ 2018 წლის 28 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. სადაც განმარტა, რომ დ. ხ.-თან 2015 წლის 26 ნოემბერს მართლაც ჰქონდა გაფორმებული რწმუნებულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, მაგრამ იგი ამ ეტაპზე ატარებდა ს.-ის გვარს, შემდეგ გაირკვა, რომ საჯარო რეესტრში შეტანილი ჰქონდა გვარის შეცვლის თაობაზე განცხადება, რის შედეგადაც მათ შორის გაფორმდა ახალი რწმუნებულება 2016 წლის 12 იანვარს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ რადგან საკითხი ეხებოდა საზიარო უფლების გაუქმებას, ის დოკუმენტები და მოქმედებები რისი გაკეთებაც შეიძლებოდა რწმუნებულების გარეშე: საჯარო

რეესტრიდან დოკუმენტების გამოთხოვება, მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება და შემდეგ საამზომველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზება, მან გააკეთა გვარის შეცვლის პროცედურამდე.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ყოველგვარი მისი ურთიერთობა მოწინაღმდეგე მხარესთან ნ. კ.-სთან იცოდა დ. ხ.-მა ზედმიწევნით. კერძოდ, როდესაც დ. ხ.-ის სახლში აზომველებთან ერთად მივიდა, მას მართლაც ჰქონდა კომუნიკაცია ნ. კ.-სთან. ადვოკატის განმარტებით, კომუნიკაციის მიზანი იყო გაერკვია ხომ არ იყო შესაძლებელი მეზობლებს შორის საქმის სასამართლოს გარეშე, მორიგებით გადაწყვეტა, რაზედაც თავად ნ. კ.-ს აზომვით სამუშაოებთან დაკავშირებით პროტესტი და უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუხატია. ნ. კ.-მ უთხრა ადვოკატს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოითათბირებდა თავის ქალიშვილთან და იგი თავად დაუკავშირდებოდა შემდეგ ადვოკატს. დ. ჩ. აღნიშნავს, რომ ეს კომუნიკაცია მიმდინარეობდა ეზოში, აზომვითი სამუშაოების ჩატარებისას, ამზომველებისა და მ. ზ.-ის (კლიენტის შვილი) თვალწინ.

3.3 ადვოკატის განმარტებით, გარკვეული დროის შემდეგ მართლაც დაუკავშირდა ნ. კ.-ის ქალიშვილი ტელეფონით, რომელმაც გამოთქვა შეხვედრის სურვილი სადავო საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდა კლიენტს - დ. ხ.-ს და მის შვილს, რომლებმაც უთხრეს ადვოკატს, რომ შეხვედროდა ნ. კ.-ის ქალიშვილს და გაეგო მისი აზრი სადავო საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ხსენებული ზარის შემდეგ, არც ნ. კ. უნახავს და არც მისი ქალიშვილი, შესაბამისად მისთვის სრულიად გაუგებარია რას ეყრდნობა მომჩივანი, როცა საუბრობს მისი და ნ. კ.-ის გარიგებაზე.

3.4 ადვოკატის განმარტებით, დ. ხ.-ის საჩივარში მოყვანილი არგუმენტები მის არაკვალიფიციურ ქცევასთან დაკავშირებით არ შეესაბამება სიმართლეს. დ. ხ.-მა ზედმიწევნით იცოდა თუ რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა მის საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 13 აპრილს სასამართლოში შეიტანა სარჩელი სამოქალაქო დავაზე, რომელიც დაეწერა მოსამართლე თ. ხ.-ს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ 2016 წლის 18 აპრილს სარჩელი და თანდართული საბუთების პაკეტი გაუგზავნა მოპასუხეს, ხოლო მოპასუხის დასტური ჩაბარებაზე წარადგინა სასამართლოში 2016 წლის 25 აპრილს. ასევე 2016 წლის 28 აპრილს ადვოკატს ჩაბარდა მოპასუხის შესაგებელი.

3.5 ადვოკატის განმარტებით, ამ დროს მოსამართლე თ. ხ.-ს შეუწყდა სამოსამართლეო უფლებამოსილება, რის საფუძველზეც 2016 წლის 25 სექტემბერს სადავო საქმე გადაეწერა სხვა მოსამართლეს, რამაც გამოიწვია საქმის გაჭიანურება. მოსამართლის ცვლილებას ასევე თან ერთვოდა სასამართლოს გადატვირთულობა, ამიტომ ადვოკატმა 2016 წლის 28 ნოემბერს მიმართა სასამართლოს განცხადებით, მოსამზადებელი სხდომის ჩანიშვნის მოთხოვნით, რადგან შუამდგომლობის ეტაპი მაინც გაევლოთ. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამ ყველაფრის შესახებ მისი კლიენტი ინფორმირებული იყო და მისთვის სრულიად გაუგებარია მეტი რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა კლიენტისათვის, როდესაც საქმეზე სიახლე არ იყო და ელოდებოდა სხდომის ჩანიშვნას.

3.6 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებისა, კლიენტისა და კლიენტის ვაჟის საყვედურების ადრესატი იყო ის და არა სასამართლოს არაორგანიზებულობა, რის საფუძველზეც დ. ხ.-ი და მისი ვაჟი გამოცხადნენ 2017 წლის 20

თებერვალს მასთან ოფისში და მოითხოვეს საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა. ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 26 თებერვალს მათ ხელი მოაწერეს საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მ. ზ.-ს ელ. ფოსტაზე მიაწვდიდა შესრულებული სამუშაოს სრულ ანგარიშს. ამის შემდეგ, ადვოკატმა 2017 წლის 12 მარტს მ. ზ.-ს გაუგზავნა საქმის ანგარიში და სთხოვა წარმოედგინათ მისთვის, თუ რაში გამოიხატებოდა მათი პრეტენზიები მის მიმართ და ასევე რა თანხის დაბრუნებას ითხოვდნენ უკან, რაზედაც ადვოკატის განმარტებით ვერ მიიღო სრულყოფილი და ლოგიკური პასუხი.

3.7 ადვოკატის განმარტებით, რეალობას არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ გარიგებაში იყო მოწინააღმდეგე მხარესთან იმის გამო, რომ თითქოს სარჩელი არასწორად იყო შეტანილ სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, მასთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დ. ხ.-მა აიყვანა 4 წარმომადგენელი, რომელთაც მის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი არ შეუცვლიათ. მართალია, დ. ხ.-ის მოწინააღმდეგე მხარე და ის იყვნენ ერთი კუთხიდან, მაგრამ ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, კლიენტის მოპასუხეს გაურიგდა. მისთვის კლიენტის მხრიდან ასეთი პრეტენზიის წაყენება შეურაცხმყოფელია.

3.8 ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 26 ივნისს განმარტა, საჩივრის ავტორისათვის რომ მისი მხრიდან გინებას ან უხეშ საუბარს ადგილი არ ჰქონია.

3.9 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისაგან სულ მიღებული აქვს 1190 (ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი. ამ თანხიდან 200 (ორასი) ლარი მიიღო თავდაპირველი კონსულტაციისათვის და საბუთების მოძიებისათვის; 180 (ას ოთხმოცი) ლარი გადაიხადა აზომვით ნახაზებში; 30 (ოცდაათი) ლარი გადაუხადა ექსპერტიზას, 10 (ათი) ლარი ფოსტას; ხოლო 120 (ას ოცი) ლარი გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით. შესაბამისად, უშუალოდ მისმა ჰონორარმა შეადგინა 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი, საიდანაც 300 (სამასი) ლარი მან უკვე დაუბრუნა დ. ხ.-ს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ დანარჩენი 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი მან გამოიმუშავა.

IV სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი დ. ჩ. არის სსიპ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №...././ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

4.2 დ. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 04 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მას არ აწვდიდა ინფორმაციას, მის საქმეზე მიღებული შესაგებელი ჩააბარა გვიან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავად მოიკითხა თავისი საქმის ბედი; ადვოკატი გარიგებაში შევიდა მოწინააღმდეგე მხარესთან; ადვოკატმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - ყვირილით ესაუბრებოდა და მისი თანდასწრებით შეაგინა პირს, რომელმაც დ. ხ.-ს სამართლებრივი რჩევა მისცა.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი:,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

6.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

6.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესების წარმოდგენა გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად.

6.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს."

6.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ "ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს."

6.6 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი

წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე."

6.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2015 წლის 26 ნოემბერს წერილობითი ფორმით დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ადვოკატმა დ. ჩ.-მ აიღო ვალდებულება დ. ხ.-ისთვის გაეწია სასამართლებივი დახმარება უძრავ ნივთთან დაკავშირებით საზიარო უფლების გაუქმებასთან (წილის ნატურით გამოყოფა) დაკავშირებით, ამ საცხოვრებელი სახლში დ. ხ. ფლობდა ½ ნაწილს, ხოლო დანარჩენ ნაწილს ფლობდა მეორე თანამესაკუთრე - ნ. კ..

6.8 საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციითა და დოკუმენტებით იკვეთება, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულია იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. შეთანხმების ფარგლებში ადვოკატი კლიენტს უწევდა იურიდიულ დახმარებას. მხარეთა პოზიციით ირკვევა, რომ პირველი კონსულტაციის შემდეგ ადვოკატმა დ. ჩ.-მ გამოითხოვა საჯარო რეესტრიდან დოკუმენტები, განახორციელა სადავო საცხოვრებელი ფართის ადგილზე დათვალიერება, რაც მიზნად ისახავდა შემდეგ ჩასატარებელი საამზომველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებას. ამის შემდეგ ის აღნიშულ სახლში მივიდა ამზომელებთან და დ. ხ.-ის ვაჟთან ერთად. ესაუბრა სახლის მეორე მფლობელს ნ. კ.-ს იმის გასარკვევად, შეიძლებოდა თუ არა მხარეთა შორის მორიგება. ვინაიდან ნ. კ. არის ხანდაზმული, მას პოზიცია უნდა შეეთანხმებინა თავის შვილთან, ამის გამო ადვოკატმა მას მისცა თავისი საკონტაქტო ნომერი, მხარეთა შორის უნდა მომხდარიყო შეხვედრა, რომელიც აღარ გაიმართა ადვოკატისათვის უცნობი მიზეზით.

6.9 ადვოკატმა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა 2016 წლის 19 თებერვალს, თუმცა დ. ხ.-ის მოდავე მხარემ, ნ. კ.-მ, აღარ შეუშვა სახლში ექსპერტი. დ. ჩ.-მ ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ექსპერტს სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა არ მიეცა, მიიღო 2016 წლის 04 აპრილს. მან სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 13 აპრილს, საქმე N2/XXXX-XX განსახილველად დაეწერა მოსამართლე თ. ხ.-ს. მოსამართლემ სარჩელი მიიღო წარმოებაში. ამის შემდეგ ადვოკატმა დ. ჩ.-მ 2016 წლის 20 აპრილს მოპასუხეს ჩააბარა სარჩელი თანდართული დოკუმენტებით და ჩაბარების დასტური სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 25 აპრილს. მას საქმეზე შესაგებელი ჩაბარდა 2016 წლის 28 აპრილს, რომელიც დ. ხ.-მა ჩაიბარა 2016 წლის 26 მაისს.

6.10 კოლეგია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ რადგან მოსამართლე თ. ხ.-ს შეუწყდა სამოსამართლეო უფლებამოსილება, საქმე განსახილველად დაეწერა სხვა მოსამართლეს - ხ. კ.-ს, 2016 წლის 25 სექტემბერს. რადგან საქმეზე პროცესი არ ინიშნებოდა, ადვოკატმა დ. ჩ.-მ 2016 წლის 28 ნოემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სხდომის ჩანიშვნა. მიუხედავად ამისა, ამ საქმეზე სხდომა არ დაინიშნა. 2017 წლის 20 თებერვალს დ. ხ.-მა ადვოკატს ზეპირად წაუყენა პრეტენზია საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით და მოითხოვა მასთან ურთიერთობის შეწყვეტა. მხარეებმა 2017 წლის 26 თებერვალს ხელი მოაწერეს ხელშეკრულების შეწყვეტისა და ადვოკატის ხელთ არსებული დოკუმენტაციის კლიენტისათვის გადაცემის შესახებ შეთანხმებას. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად ადვოკატმა მიუთითა კლიენტის მიერ მისთვის გამოცხადებული უნდობლობა, რაც ასევე დაადასტურა საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით და ზეპირ განმარტებაში. ადვოკატმა თავის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში კლიენტს გაუგზავნა

2017 წლის 20 მარტს. სასამართლოში დ. ხ.-ის საქმე იხილება ისევ იმ სარჩელით, რომელიც შეადგინა ადვოკატმა დ. ჩ.-მ.

6.11 კოლეგიის შეფასებით, საადვოკატო საქმიანობა და სამოსამართლეო საქმიანობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საადვოკატო საქმიანობის შედეგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ეს შედეგი სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას დგება მოსამართლის/მოსამართლეების მიერ. განსახილველ შემთხვევაში დ. ხ.-ისა და მისი შვილის ეჭვი ადვოკატის მიმართ გამოიწვია გარემოებამ, რომ სასამართლოს მიერ დ. ხ.-ის საქმის ჩანიშვნა არ მოხდა დროულად, რაშიც კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ დ. ჩ.-ს ბრალი არ მიუძღვის.

6.12 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, რომ ადვოკატსა და კლიენტს კომუნიკაცია ჰქონდათ ტელეფონით, მეილით და პირადად. დ. ხ.-სა და მ. ზ.-ს არ შეზღუდიათ შესაძლებლობა ადვოკატ დ. ჩ.-სგან მიეღოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. კოლეგია განმარტავს, რომ შესაგებელი ადვოკატმა კლიენტს ჩააბარა შესაგებლის მისთვის გადაცემიდან დაახლოებით 1 თვის ვადაში, რასაც ამ შემთხვევაში კლიენტისათვის რაიმე უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია. შესაბამისად, ამ კუთხით კოლეგიას არ აქვს ვარაუდი, რომ ადვოკატმა დ. ჩ.-მ დაარღვია კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება.

6.13 საჩივრის ავტორის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ესაუბრებოდა უხეში ტონალობით და მისი თანდასწრებით შეაგინა იმ პირს, ვინც საჩივრის ავტორს სამართლებრივ რჩევას აძლევდა, განმარტავს, რომ ეს პრეტენზია უარყო ადვოკატმა. საჩივრის ავტორის ეს პოზიცია დაადასტურა მისმა მოწმემ - შვილმა, მაგრამ ეთიკის კომისია მოწმის პოზიციას ვერ გაიზიარებს, რადგან ის არის დაინტერესებული მხარე, ხოლო ადვოკატი დ. ჩ. არის კვალიფიციური ადვოკატი, დაახლოებით 15 წლიანი საადვოკატო გამოცდილებით და ის ხასიათდება მაღალი რეპუტაციით. ამასთან, დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი მოწმის პოზიციის გარდა სხვა მტკიცებულება, რომლითაც ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ აღნიშნული ქცევა დადასტურდება, შესაბამისად, საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიას არ იზიარებს.

6.14 საპროცესო კოლეგიამ მომჩივანის პრეტენზიაზე საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების თანხის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.15 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის

მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

6.16 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა წერილობითი ფორმით, სადაც მხარეების მიერ განისაზღვრა იურიდიული მომსახურების საფასური. ეთიკის კომისიაში საქმის საპროცესო განხილვისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ შეთანხმებულები იყვნენ ჰონორარის 700 (შვიდასი) ლარის გადახდაზე, საიდანაც საჩივრის ავტორმა გადაიხადა 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი. სულ ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო 1190 (ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი. ამ თანხიდან წინასწარ მიიღო 200 (ორასი) ლარი თავდაპირველი კონსულტაციისა და საბუთების მოძიებისათვის; 180 (ას ოთხმოცი) ლარი გადაიხადა აზომვით ნახაზებში; 30 (ოცდაათი) ლარი გადაუხადა ექსპერტიზას, 10 (ათი) ლარი ფოსტას; ხოლო 120 (ას ოცი) ლარი გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით. დარჩენილმა თანხამ შეადგინა 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი. აღნიშნული თანხიდან 300 (სამასი) ლარი ადვოკატმა დ. ჩ.-მ დაუბრუნა კლიენტს საჩივრის შემოტანამდე.

6.17 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს დ. ხ.-ის მიერ უნდობლობის გამოცხადებისას, მის საქმეზე უკვე ჰქონდა ჩატარებული ძირითადი შრომა: განსაზღვრა სამოქმედო სტრატეგია, სცადა მორიგება კლიენტის მოპასუხესთან, მოიპოვა მტკიცებულებები, მოამზადა სარჩელი და მიმართა სასამართლოს. აღნიშნულისათვის მან კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიღებული თანხიდან 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარიდან დაიტოვა 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, დარჩენილი თანხა კი დაუბრუნა კლიენტს. კოლეგიის შეფასებით, მართალია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ადვოკატმა აიღო ვალდებულება ყველა ინსტანციის სასამართლოში ეწარმოებინა დ. ხ.-ის საქმე, მაგრამ ვინაიდან მას დ. ხ.-ის მიერ უნდობლობის გამოცხადებისას უკვე ჰქონდა განხორციელებული ძირითადი შრომა, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ მიღებული ჰონორარი ექვივალენტურია იმ შრომისა, რომელიც მან დახარჯა დ. ხ.-ის საქმეზე.

6.18 კოლეგია ცალსახად განმარტავს, რომ ხარჯები, რომლებიც ადვოკატმა გადაიხადა საქმის მომზადებისათვის: აზომვით ნახაზში, სახელმწიფო ბაჟის სახით, ექსპერტის დასკვნაში, მტკიცებულების მოპოვებაში და ფოსტის ხარჯში - წარმოადგენს საქმის წარმოების ხარჯს. ეს თანხები არ არის ჰონორარი - ანუ ადვოკატის შრომის ანაზღაურება და რადგან ეს თანხა ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ უკვე გამოყენებულია და მიმართულია დ. ხ.-ის საქმის სასარგებლოდ, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის დაბრუნებული ვერ იქნება. შესაბამისად, ადვოკატ დ. ჩ.-ს არ დაუღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულება.

6.19 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; 32–ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №058/18 ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №...../1/არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/